ც ნ ო ბ ა

დამკვეთი: შ.პ.ს. „მევატეკ ჯე" ტელ: 599-53-57-81

საფუძველი: 16.12.2013 წ. №12/13350963-16

მისამართი: ქ. თბილისი, სექტორი-ისანი, შანდორ პეტეფის ქ. (ნაკვ. №31/049)

საკ.კოდი: №01.17.07.031.049

პროექტის შეთანხმების და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – 10.10.2013 წ. №939582 (AR1164133)

ფუნქციური დანიშნულება: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი (IV კლასი)

ობიექტის ადგილზე შემოწმებით (31.01.2014) დადგინდა:

„1-4" ფასადზე: +19.80 და +26.40 ნიშნულებზე „1-2" მონაკვეთში ვიტრაჟების ნაცვლად მოწყობილია კარ-ფანჯრები. „1-1" და „4-4" ღერძების გარეთ გათხელებულია პარაპეტები. ლიფტის სამანქანოს კედელზე მოწყობილია საჰაერო.

„4-1" ფასადზე: შეცვლილია სადარბაზოს კარის ნახატი. „2-1" მონაკვეთში გაზრდილია პანდუსის კედლების სიგრძე 0.2 მ-ით და დამატებით მოწყობილია დაბალი კაპიტალური კედელი.

„გ-ა" ფასადზე არსებულ და საპროექტო შენობებს შორის სიმჭიდროვის გამო არ არის შელესილი და შელებილი კედლის ნაწილი. აღნიშნულ და „ა-გ" ფასადებზე +0.00 ნიშნულამდე მოწყობილია საკომუნიკაციო მილები.

ფასადებზე არ არის მოწყობილი წყალშემკრები მილები. სახურავზე ფიქსირდება სავენტილაციო შახტები.

„ბ-ბ" ღერძზე არსებული კოლონები გადაწეულია „ა-ა" ღერძისკენ 0.2 მ-ით. -3.30 ნიშნულზე შემცირებულია პანდუსის სიგრძე. სახურავის კეხის ქვეშ შეცვლილია გადახურვის კონსტრუქციული სქემა.

კეთილმოსაწყობილია საპროექტო ტერიტორია.

შეამოწმა: დ.მანჯგალაძე